

მუნიციპალური და რეგიონული განვითარების კონსეფციები დარგობრივ კლასტერებში

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

მუნიციპალური და რეგიონული განვითარების
კონცეფციები დარგობრივ კლასტერებში

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორი: ნინო ბაბუნაშვილი



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორი: ნინო ბაბუნაშვილი

რედაქტორი: თამარ ნეფარიძე

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობებით გაჯერებული თანამედროვე ბაზარი, რომელიც საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და საზოგადოების სოციალური დაცვის საფუძველია, აღიარებულია ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად, რაც კაცობრიობამ თავისი არსებობის განმავლობაში შეიმუშავა და ამიტომ, საქართველომაც ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაისახა მიზნად.

საქართველოსთვის სოფლის მეურნეობა სტრატეგიული დარგია. იმისთვის, რომ დარგი კონკურენტუნარიანი გახდეს და აწარმოოს პროდუქტები იმ სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოთხოვნადი იქნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, საჭიროა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და რეგიონული კოოპერირების პრიორიტეტად მიჩნევა, რათა გლუხმა უფრო ეფექტურად აწარმოოს პროდუქცია და ამასთან, შემცირდეს თითოეულის დანახარჯი, რაც საშუალებას მისცემს მცირე და საშუალო მენარმეს უფრო ეფექტური გახადოს თავისი წარმოება.

საზოგადოების საშუალო ფენა არის ძირითადი საყრდენი კერძო საკუთრებისა და კონკურენციის სფეროში, ის ქმნის სწორედ მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკას, აყალიბებს საზოგადოების ინსტიტუციურ ბაზისს — სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფუნდამენტს, რომლის მიზანი თვითრეგულირებადი საზოგადოებაა .

საქართველო მისი ბუნებითა თუ გეოგრაფიული თავისებურებებით აგრარული ფუნქციის ქვეყანაა. გლუხს საქართველოში ოდითგანვე ჰქონდა სოფლის აღორძინებისა და ქალაქის დაპურების მისია. სწორედ ამ ფუნქციის დაკარგვამ გამოიწვია უმუშევრობა, მოსავლის გასაღების ბაზრის უქონლობამ კი სოფლების დაცარიელება, რეგიონული შიდა და გარე მიგრაცია და შესაბამისად, სოციალური დონის დაცემა.

საქართველოში მცირე მენარმეებს ბაზარზე მუშაობის გამოცდილება არ გააჩნიათ, თითქმის ვერ აკონტროლებენ გასაღების ბაზრებს, მარკეტინგში ნაკლებად აქტიურები არიან, არ აწარმოებენ ბაზრების გამოკვლევას და მათი ცოდნა გაყიდვების სფეროში უმნიშვნელოა. პროდუქციის დისტრიბუციისა და რეკონსტრუქციის განვითარებისთვის მცირე და საშუალო მენარმეები მსხვილი მენარმეებისგან განსხვავებით, ვერ იყენებენ ფასების დისკონტირებას, პროდუქციის ხელშეწყობისა და ერთობლივი რეკლამირების ხერხებს.

საქართველოში მცირე სანარმოთა უპირატეს განვითარებას რამდენიმე ხელსაყრელი პირობა განაპირობებს. ეს გახლავთ:

- ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და მათი შედარებით თანაბარი განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
- ჭარბი დაუსაქმებელი სამუშაო ძალა ცალკეულ რეგიონებში;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ტერიტორიების არსებობა;
- ინდივიდუალური შრომისკენ დამახასიათებელი მისწრაფება.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხერხემალი, რომლის სიძლიერსა და სიჯანსაღეზეა დამოკიდებული ეკონომიკის აღმავლობა და საზოგადოების თითოეული წევრის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, აქედან გამომდინარე კი, ქვეყნის მშპ-ის დონის ამაღლებაც.

როგორც წესი, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში ფედერალურ დონეზე ხდება, რომელიც მოიცავს: თანამიმდევრული საკანონმდებლო სამუშაო პროგრამებს, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების მექანიზმებს, პროგრამებსა და ა.შ.

მინის რაციონალური გამოყენებისა და მისი მოსავლიანობის ამღლების მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში, აუცილებელია შემუშავდეს ღონისძიებათა სისტემა: კომპლექსური მექანიზაციის, მინის ეროზიის სანინალმდეგო ღონისძიებებისა და სხვ., რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებას, განსაკუთრებით მის ეკონომიკურად ნაყოფიერ სისტემურ ზრდას. ეს კი საშუალებას მოგვცემს დაცული იქნეს სახელმწიფოს, მენარმეთა (ფერმერთა) და მოსახლეობის ინტერესების თანხვედრა, რის შედეგადაც გაიზრდება წარმოების ეფექტიანობა, შეივსება ადგილობრივი ბიუჯეტი, ფერმერისთვის ხელმისაწვდომი გახდება მინის გადასახადის რაოდენობა და მოსახლეობა დაცული იქნება სოციალურად.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ბიზნესის რეგულირების კუთხით არსებული ბევრი პოზიტივის მიუხედავად, გარკვეული პრობლემები ჯერ კიდევ მოსაგვარებელია, მაგალითად: სუსტია ბიზნესსექტორის კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად შესაძლებელია იქნეს ისეთი მექანიზმის გამოყენება, როგორცაა ბიზნესინკუბატორი, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლენასა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების სწრაფად დანერგვას. საქართველოში ასეთი მექანიზმის დანერგვა მიზანშეწონილია მენარმეთა მხარდასაჭერად და მომსახურების სფეროში მენარმეობის განვითარებისთვის.

აგრეთვე:

1. საქიროდ მიგვაჩნია, საქართველომ გამოიყენოს მდიდარი მსოფლიო გამოცდილება, დაწეროს მსს-ების განვითარებისა და მხარდაჭერის წარმატებული მოდელები. ამ პროცესში აუცილებელია ეროვნული, ტერიტორიული, კლიმატური, სანარმოო და ინფრასტრუქტურული სპეციფიკურობის, აგრეთვე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება.
2. მცირე და საშუალო სანარმოების კრიტერიუმების განსაზღვრისას, უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის მაშტაბი, ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკურობა, დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებანი და ეკონომიკის განვითარების დონე. ეს კრიტერიუმები უნდა იყოს ერთიანი და გადამოწმდეს პერიოდულად (3-4 წ-ში) კორექტირების მიზნით;
3. მცირე სანარმოებს უნდა დაუნესდეს სასტარტო შეღავათები. ა.მ. ახალშექმნილი მცირე სანარმოები ფუნქციონირების დაწყებიდან პირველი 2 წლის განმავლობაში გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან (თურქეთის მაგალითი);
4. მცირე სანარმოებს უფლება უნდა მიეცეთ, ისარგებლონ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმებით;
5. საზღვრისპირა რეგიონებში მცირე და საშუალო სანარმოები გათავისუფლდნენ წყლის, მიწისა და ელექტროენერჯის გადასახადისგან ან დაეკისროთ მინიმალური (სიმბოლური) გადასახადი, რაც ხელს შეუწყობს ამ რეგიონების პოპულაციას;
6. შეიქმნას მცირე გადამმუშავებელი სანარმოები და მიმღები პუნქტები მოსავლის ჩაბარების მიზნით (შესაძლებელია სანარმოების ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნა, „კოოპერირება“).

სოფლის მეურნეობას სწრაფად შეუძლია გაზარდოს ექსპორტი, მას ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნია ეკონომიკის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, თუმცა საქართველოში სიღარიბე უმეტესწილად, სწორედ სოფლადაა. ჩგამომდინარე აქედან, საქართველოს ხელისუფლებამ უმთავრეს პრიორიტეტად უნდა დაისახოს სოფლის მეურნეობისა და რეგიონების განვითარების პროგრამები.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა
ტელ.: +995 32 293 11 28
მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28
ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge
ვებგვერდი: eap-csf.ge